პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 22 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

15 (1010) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ვეანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## დღეს იხსნება მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია!

### მხურვალედ ვესალმებით მას და უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ტერიტორიალურ სისტემის წარმატებით გატარების საქმეში! გაუმარჯოს 2 დივიზიის პირველ პარტკონფერენციას. სალამი მის დელეგატებს!

## მეორე ქართულ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია.

დღეს იხსნება მეორე ქართული დივიზიის პირველი პარტკონფერენცია. ამ პარტკონფერენციის მნიშვნელობა მეტად დიდია, ვინაიდან მან ჯამი უნდა გაუკეთოს მთელ იმ მუშაობას, რომელიც მეორე დივიზიამ ჩაატარა დღიდან თავისი დაარსებისა.

სულ წელიწად ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საძირკველი ჩაეყარა მეორე ქართულ დივიზიის არსებობას. ამ ხნის განმავლობაში ის სავსებით ჩამოყალიბდა, განმტკიცდა, გაძლიერდა და შეურყევლად ანხორციელებს ტერიტორიალურ სისტემას საქართველოს ფარგლებში. ამ მოკლე ხნის განმავლობაში დივიზიამ შესძლო ერთი ტერშეკრების ჩატარება, რომელიც იშვიათი წარმატებით და მიღწევებით იქმნა ჩატარებული. ამ უკანასკნელად დივიზიის მიერ ნაყოფიერად ჩატარებულ იქმნა აგრეთვე წვევამდე ზზადებაც. მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებებისა და სიძნელეებისა მეორე დივიზიამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ტერიტორიალურ აღმშენებლობას საქართველოს ფარგლებში.

ცხადია ყოველივე ამის თქმა ადვილი საქმეა, მაგრამ გაკეთება და შესრულება უამრავ ძალღონის და ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა. და აი დივიზიის ასეთი ნაყოფიერ მუშაობაში და ყველა მის მიღწევებში ასეთი მოკლე დროის განმავლობაში, დივიზიის პარტორგანიზაციამ უსათუოთ უმთავრესი როლი ითამაშა.

დივიზიის დანარჩენ მუშაკებთან ერთად ჩვენმა პარტიამ ტერიტორიალური სისტემის საქმე დააყენა მკვიდრ ნიადაგზე.

და აი დღეს ის იკრიბება პირველ პარტკონფერენციის სახით, რომ ჯამი გაუკეთოს ამ წარსულ მუშაობას და მის გამოცდილებებზე ააგოს მომავალი მუშაობის გეგმები.

პარტკონფერენციის დღის წესრიგში მრავალი საკითხები სდგას. ჩვენ არ შევეხებით ამ საკითხებს სათითაოდ. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ძირითადზე, მთავარზე, რომლითაც იფარგლება პირველი პარტკონფერენციის მთელი მუშაობა.

ეს არის ტერიტორიალური სისტემის შემდეგი განვითარება, ტერაღმშენებლობის გაფართოება და წარმატებით წაყვანა.

და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ პარტკონფერენცია ნაყოფიერად გადაჭრის ყველა მის წინაშე მდგარ ამოცანებს ამ მიმართულებით და მით უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის თავდაცვის საქმის სათანადო დონეზე დაყენებას.

მხურვალე სალამი მეორე დივიზიის პარტკონფერენციას! გაუმარჯოს მის მუშაობას!

## დროა ბოლო მოეღოს.

იაპონიის მიერ წელგამაგრებული, ჩინეთის მშრომელი ხალხის ცნობილი ჯალათი—ჩჟან-ზო-ლინი კვლავ დაეუფლა მანჯურიის მხარეს.

ცხადია მის დაბრუნებასთან ერთად დაიწყო მისი ჯარების მიერ ძარცვა გლეჯა და თარეში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, რომელიც საბჭოთა მთავრობის ხელში იმყოფება.

ჩჟან-ზო-ლინის ჯარისკაცები ახდენენ თავდასხმას ამ რკინის-გზის ადმინისტრაციაზე, უბილეთოდ სხდებიან მატარებლებში, თავისუფლად მიმოგზაურობენ თავიანთ ჯავშნიანი მატარებლებით რკინის-გზაზე, არავითარ მიმოსვლის ცხრილს არ ემორჩილებიან და მთელი რკინის-გზის ბატონ-პატრონივით გრძნობენ თავს. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ასეთ უმგვანო საქციელს ჩჟან-ზო-ლინის ქვეშევრდომ ჯარების მხრივ წინადაც ბევრჯელ ქონდა ადგილი. მიუხედავათ მრავალ გაფრთხილებებისა და მიმართვისა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ჩინეთის ხელისუფლებისადმი, ამ თავაშვებულობას მაინც არ მოეღო ბოლო.

შეუძლებელია ასე გაგრძელდეს მდგომარეობა მომავალში. ჩჟან-ზო-ლინის თავგასულობას საზღვარი უნდა დაედოს. დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა ჩინეთში ამხ. კარახანმა სათანადო ნოტა გაუგზავნა, როგორც ჩინეთის მთავრობას, ისე თვით ჩჟან-ზო-ლინსაც. ამ ნოტაში ამხ. კარახანი სასტიკათ კიცხავს მუკდენის ჯარების უმგვანო მოქმედებებს და დასძენს: „ვიმედოვნებ, რომ თქვენ გაითვალისწინებთ მდგომარეობის მთელ სერიოზულობას და მიიღებთ ზომებს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც ჩადიან თქვენი ჯარები. მე ვსთვლი, რომ ამ დღეებში გაგზავნით მე თავის დროზე გაცნობებთ ამას და ამიტომაც არავითარ პასუხისმგებლობას არ ვკისრულობ შედეგებისათვის“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. კარახანის ნოტა იქონიებს შესაფერ გავლენას ბატონ—ჩჟან-ზოლინზე და ის ფრთას შეუკვეცს თავისი ჯარების უმსგავსოებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქმე ექნება მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან.

—ე

# ახალი რადიო ამბები

## ჩინელ ჯარისკაცთა უწესოება აღმოსავლ.-ჩინეთის რკინის გზაზე

### კარახანის პროტესტი.

ამ უკანასკნელ დღეებში ჩინელი ჯარის-კაცები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დიდ უწესრიგობას იდენენ, რომელიც მიმართულია რკინის გზის მმართველობის წინააღმდეგ. ჯარის კაცები მოქმედებენ რკინისგზის მცველ ჯარების შტაბის კარნახით.

ამის გამო სსრკ-ს ელჩმა პეკინში კარახანმა პროტესტი გადასცა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მუკდენის სამხედრო ძალების თავხედობის წინააღმდეგ რკინის გზაზე.

## შვეიცარია და საბჭოთა კავშირი.

საფრანგეთის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ შვეიცარიის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განახლების საკითხს. მოყავთ შვეიცარიის გაზეთების აზრი, რომელიც დაჟინებით მოითხოვა, რომ „შვეიცარიის მთავრობამ არ დაანცირონს თავისი ღირსება, ვოროვსკის მკვლელობის საკითხში ბოდიშის მოხდით“.

გავასის სააგენტოს ცნობით, შვეიცარიის ფედერატიული საბჭო არჩევდა საბჭოთა სოც. კავშირის ცნობის საკითხს.

## საბრი-ბეი საბჭოთა კავშირის შესახებ.

ოსმალეთში საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა ოსმალეთის მიწად მოქმედების კომისარი საბრი-ბეი. გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში მან აღნიშნა ის მეგობრული მასპინძლობა, რომელიც გაუწიეს მას საბჭოთა კავშირში. მან აღნიშნა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის ზრდა და განვითარება და დასასრულ განაცხადა: „საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ ძლიერ გაამდიდრა ჩემი გამოცდილება“.

## ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობა.

დამთავრდა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის 2 დღიანი ყრილობა.

ყრილობამ მიიღო რამოდენიმე გადაწყვეტილება საორგანიზაციო საკითხებში.

აზრთა მოკლე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო პარტიის პოლიტიკურ ბიუროს რეზოლიუცია საკავშირო კომპარტიის მე-XIV ყრილობის დისკუსიის საკითხში.

## პოლონეთის სეიმის დელეგაცია სსრკ-ს ეროვნულ საკითხის შესახებ.

ხარკოვიდან პოლონეთის სეიმის დეპუტატები გაემგზავრენ ოდესაში. გამგზავრების წინ დეპუტატს ბრილიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„სეიმის დეპუტატები ძლიერ ნასიამოვნები არიან იმ გარემოებით, რომ უკრაინაში მცხოვრები პოლონელები სარგებლობენ თანასწორ უფლებით, როგორც სამშობლო ენის, ისე ნაციონალურ კულტურის გამოყენებაში.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ უკრაინის მთავრობა ერთმანეთისაგან არ არჩევს პოლონელს, უკრაინელს, ებრაელსა და გერმანელს.

უკრაინაში იმდენად კარგად არის მოგვარებული ეროვნული საკითხი, რომ ყოვლად შეუძლებელია იქ ნაციონალური შუღლი და რაიმე შეხლა-შემოხლა“.

## ბულგარეთის „მართლმსაჯულება“

### 445 კაცის გასამართლება.

ბულგარეთში გამოქვეყნებულ იქნა განაჩენი 445 კაცზე. ესენი პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ფარულ ორგანიზაციაში მუშაობისთვის შეიარაღებულ გამოსვლების მოწყობის მიზნით. სასამართლოს განაჩენით რამოდენიმე კაცს მისჯილი აქვს 15 წლის ციხე, დანარჩენებს—ერთი წლიდან ორ წლამდე; 6 კაცს, რომლებიც მთავრობამ ჯერ კიდევ ვერ ჩაიგდო ხელში—დახვრეტა.

## საბჭოთა კავშირში

### ამხ. რიკოვის წერილი.

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის ხელახალი აღრიცხვა.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა მიმართა საკავშირო რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებსა და სსრკ-ს სახალხო კომისრებს ცირკულიარული წერილით.

წერილის შინაარსი შემდეგია:

ა. წ. 1-ლ თებერვლიდან ხელახლად უნდა გატარდეს აღრიცხვაში თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა განსაკუთრებული კომისიების მიერ.

საბჭოთა დაწესებულებებისა და სამეურნეო სიწარმოოთა მხრივ ამ საქმეში ხელის შეწყობა გამოიხატება ხსენებულ დაწესებულებებში მომსახურე პირთა თავის დროზე გათავისუფლებაში აღრიცხვაზე გამოსაცხადებლად.

## 2 დივიზიის პარტკონფერენციის დელეგატების საყურადღებოთ

პარტკონფერენცია გაიხსნება დღეს დივიზიის ცენტრალურ კლუბში 17 საათზე. მანდატების გაცემა იწარმოებს დილის 10 საათიდან 16 საათამდე პოლიტგანყოფილების საორგანიზაციო ნაწილში.

საორგ. ნაწ. უფროსი ნ. ბლუაშვილი.

# 1905 წლის ცხრა იანვრის სისხლიანი კვირა.

## ცხრა იანვარი.

ცხრა იანვარი (ძველი სტილით) დიდი მნიშვნელობის დღეთ შევიდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში.

ამ დღეს რუსეთის მუშამ ნათლად და გარკვევით დაინახა თავისი მოსისხლე მტერი—თვით მპყრობელობა.

როგორ მოხდა ეს?

ეს იყო 1905 წ. მაშინდელი პეტერბურგის (ეხლა ლენინგრადი) მუშები პროვოკატორი მღვდელი გაპონის მეთაურობით გაემართენ მეფის სასახლისაკენ. მათ ხელში ეჭირათ არა თოფები, არამედ ეკლესიის ბაირაღები და ხატები. მუშები მიდიოდნენ მეფესთან, რომ ეთხოვნათ მისთვის აუტანელი ცხოვრების შემსუბუქება, სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის მომატება, კაპიტალისტების მადაგახსნილობის შეკვეცა და სხვა. მუშები დარწმუნებული იყვნენ, რომ მეფე მართლადაც იილებდა მათ და დახმარებას გაუწევდა.

ხალხს ეგონა, რომ მეფე კარგია, მხოლოდ მის გარშემო მყოფი მინისტრები არიან ცუდი და ამიტომ საჭირო არის უშუალოთ მეფესთან მისვლა, მისთვის თხოვნა. და აი ასეთი იმედებით მრავალ ათიათასიანი მუშების რიგები ხატებით და ეკლესიის ბაირაღებით ხელში მიუახლოვდენ მეფის სასახლეს.

სასტიკად გაუცრუვდათ მუშებს მოლოდინი.

მეფემ არამც თუ არ მიიღო მუშები, არამედ შავი დღე გაუთენა მათ. უიარაღო მუშებს მეფის ჯარმა დაუშინა თოფები და ათასობით დაიღვარა უმანკო სისხლი. დახოცილ იქმნა ორიათასამდე მუშა, ხოლო დაჭრილი კი ხუთიათასზე მეტი.

ასეთია 9 იანვრის მოკლე ისტორია.

ამის შემდეგ რუსეთის მუშათა კლასი სამუდამოთ დარწმუნდა და შეიგნო, რომ მისი მთავარი მტერი იყო თვითმპყრობლური წესწყობილება, რომელიც უნდა მოსპობილიყო რევოლიუციონური ბრძოლის საშუალებით. და კიდევაც რუსეთის მუშები შეუდგნენ შეურიგებელ რევოლიუციონურ ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით თავისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის. და რევოლიუციონურმა ბრძოლამ მოუტანა მათ გამარჯვება.

თორმეტი წლის შემდეგ რუსეთის მუშათა კლასის ძლევამოსილი დარტყმის ქვეშ დაეცა ჯერ თვითმპყრობელობა, ხოლო დიდ ოქტომბერში ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობაც.

და იქ სადაც რეაქციის, მონობის და ჩაგვრის შავი დროშა ფრიალებდა, უკვე მეცხრე წელია პროლეტარული რევოლიუციის, სოციალიზმის წითელი დროშა ელვარებს.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, რომელმაც თავის თავგანწირულ გმირულ რევოლიუციონურ ბრძოლებში ბევრი ცხრა იანვარისებური სისხლიანი დღეები განიცადა, დღეს გამარჯვებული მშრომელ გლეხობასთან ერთად, კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით, ლენინიზმის გზით აშენებს შრომის და ბედნიერების სამეფოს—სოციალიზმს.

ამით ის უკვდავყოფს 9 იანვრის მსხვერპლთა და პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის ყველა დაღუპულ გმირების ხსოვნას.



ყაზახების მიერ დახოცილი მუშები.

## სასახლის მოედანზე.

(9 იანვრის დემონსტრაციის მონაწილის წერილიდან)*

9 იანვარს (22) დილით მე წაველი ნევის პროსპექტით სასახლის მოედნისკენ, სადაც მუშებს განზრახული ჰქონდათ გადაეცათ თხოვნა მეფისთვის. დრო გამოშვებ ხან ერთი, ხან მეორეს მხრიდან ისმოდა ხმები „ურა!" საერთოდ ხალხს მშვიდად ეჭირა თავი. უეცრად სასახლის მოედნიდან გაისმა თოფის ხმები (დაშენით)—ერთი.., ორი.., სამი.. ჩვენს ახლოს ჯგუფიდან გამოიყვანეს დაჭრილ-დახოცილები, ს ხვათაშორის მოკლული ქალი და ყმაწვილი. „დაჭრილ-დახოცილები მიჰყავდათ ნევის პროსპექტით.

ჯარის გაბოროტებამ და აღშფოთებამ უმაღლეს საზღვარს მიაღწია. ბრბომ დაიკავა ნევისა და გოგოლის ქუჩის მეზობელი ადგილები და დაუზოგავად დაუწყო ცემა ყველა სამხედრო პირებს, ვინც კი ხელში მოხვდებოდათ.

მე ვნახე, როგორ სასტიკად სცემა ხალხმა ორ ჟანდარმის ოფიცრეს და ორ არტილერიის პრაპორჩიკს. ერთს წაართვეს ხმალი და ჩამოამტვრიეს „ჩინები", მეორემ გაქცევით უშველა თავს.

ნევის პროსპექტზე გაიმართა მიტინგი.

მე მოვისმინე ორი ცეცხლოვანი სიტყვა.

ერთი გათავებულ იქნა ძახილით—„ძირს თვითმპყრობლობა!", რომელსაც აღფრთოვანებით ბანი მისცა ხალხმა. მეორე სიტყვა დამთავრებულ იქნა ხმამაღალი მოწოდებით: „თოფებისაკენ". ხალხი დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ მოწოდებას. მაგრამ აი გამოჩნდა ჯერ ერთი, შემდეგ მსროლელთა მეორე ასეული. ხალხი გააპეს შუაზე და შეავიწროეს მოიკას ნაპირებისაკენ. გაისმა თოფების გრიალი მოიკას მეორე ნაპირიდან და რამოდენიმე წუთში უკვე დაიწყო სისხლით შეღებილ დაჭრილების გაყვანა.

5 საათზე მე წაველი გოროხოვის ქუჩით, რომელიც ბრძოლის ბანაკს წარმოადგენდა. რა ხდებოდა სხვა ადგილებში, მე არ დამინახავს, მაგრამ მეუბნებოდენ, რომ კიდევ მეტი საშინელება დატრიალდა ვასილიევის კუნძულზე. მუშებმაააგეს იქ რამოდენიმე ბარიკადა.

*) ეს კორესპონდენცია 9 იანვრის შესახებ მოთავსებული იყო ამხ. ლენინის მიერ ბოლშევიკურ საიდუმლო გაზეთის —„ვპერიოდ"-ს (წინ) მე-4 ნომერში (1905 წ. 18 (31) იანვარს).



9. იანვარი

## მაშინ და ეხლა.

ეს იყო ოცი წლის წინად.

აუტანელ ტანჯვას განიცდიდა რუსეთის მუშა.

უსამართლობა, გათელვა მისი პიროვნების,

სრული უიმედობა.

და გადასწყვიტა მიემართა მეფისთვის,



ღვდელი გაპონი.

სწამდა მეფე მოუსმენდა მას,

ჩაიხედავდა მის დუხჭირ ცხოვრებაში

და შეუმსუბუქებდა ტვირთს.

გაემართა მეფის სასახლისკენ.

მწარედ მოსტყუვდა იგი.

წინ გადაეღობნენ ჯარის კაცები და

ტყვიით გაუმასპინძლდნენ.

დაიღვარა მუშის სისხლი,

წითლად შეიღება ქუჩა, მოედანი.

და ამ სურათმა, რომელიც იხილა მუშამ ოცი წლის წინად დაარწმუნა იგი, რომ მისი განთავისუფლების საქმე უნდა გამოსჭედოს მხოლოდ მისმა დაკოჟრებულმა ხელმა.

—

ეს იყო ოცი წლის წინად.

ჯარის კაცმა, რომელიც იყო იგივე მშრომელი, მხოლოდ, რუხი მაზარით, ტყვია ესროლა თვის მოძმეს.

ჩვენი წითელი არმიელი ღრმად ჩაფიქრდება ამ ამბავზე.

შეიძლება მან არც კი დაიჯეროს ეს.

ეს იყო წინათ.

მაშინ არ იყო კავშირი მუშების, გლეხების და ჯარის კა- [illegible]

წავიდოდა გლეხი თუ მუშა ჯარში, ის უკვე მოწყვეტილი იყო თვის სახლს, თვის ქარხანას და გადაიქცეოდა გაბატონებულ კლასის ხელში მონად.

ეხლა კი ასე არ არის.

მუშის, გლეხის და წითელ არმიელის კავშირი—აი რითია ძლიერი საბჭოთა ხელისუფლება.

რათ ეშინიანთ ჩვენი მთელი ქვეყნის მუქთა-ხორებს,

რათ გველაპარაკებიან მოწიწებით?

იმიტომ, რომ მათ კარგათ იციან

ამ კავშირის ძალა და ძლიერება.

მუშა, გლეხი და წითელ არმიელი—ეს ერთი მთლიანი ოჯახია.

ბრძოლაში,

ზეიმში,

მუშაობაში ყოველთვის ერთად არიან.

მათ კარგათ იციან ჩვენი ბელადის

ლენინის ანდერძი.

არ უღალატებენ ამ ანდერძს

და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი

იბრძოლებენ დიად მასწავლებლის ანდერძის შესასრულებლად.

და დღეს, როდესაც ვიგონებთ იმ გმირებს, რომელნიც დაეცნენ ბრძოლის ველზე,

დავსდოთ ფიცი, რომ უფრო განვამტკიცეთ კავშირს

მუშებსა და გლეხობასთან.

გ. ხუციშვილი.



ფაბრიკის დარბევა.

## 1905 წელი
### პირად მოგონებიდან
(გაგრძელება)

რამოდენიმე ადგილას ერთ ქუჩაზე ორმოცი საჟენის სივრცე დამტვრეულ ბოთლებით იყო მოფენილი, ამ ადგილზე ცხენის გატარება ყოვლად შეუძლებელი იყო. ყოფილ გიმნაზიასთან და თეთრ ხიდთან ისეთი ბარიკადები იყო ამართული სილით და ფქვილით სავსე ტომრებით, რომ მართლა ზარბაზანიც ვერას დააკლებდა. ბარიკადების აგების მეორე დღიდან დაიწყო ადმინისტრაციის ფაქტიური განიარაღება. ქალაქის დაცვა გადავიდა მცხოვრებლების მიერ არჩეულ პირებზედ. საზოგადო წესრიგს ქალაქში იცავდა ახლად შემდგარი მილიცია, რომელიც შესდგებოდა სხვა და სხვა პარტიის წევრებისაგან. იარაღი, რომელიც ინახებოდა პოლიციის სამმართველოებში, გამოტანილი იქნა; განიარაღებულ იქნა აგრეთვე მთელი „სტრაჟა" და პოლიციის შემადგენლობა. თუ ამას გარდა სადმე გაიგებდენ, რომ ვინმეს სასროლი იარაღი ქონდა სახლში, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, სულ ერთია, ჩამოართმევდენ და ურიგებდენ რაზმელებს. ერთი სიტყვით, მთელი ბრძანებლობა გადავიდა რევოლიუციონერების ხელში. ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, როდესაც გამოცხადდა რკინის გზის და ფოსტის საერთო გაფიცვა.



რევოლიუციონერის დახვრეტა.

რევოლიუციურ ალტყინებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. საქმე იქამდის მივიდა, რომ რევოლიუციონერებმა ქალაქ ზესტაფონში და ბელოგორში მდგომი კუბინსკი პოლკის ასეულები განაიარაღეს და ქალაქ ზესტაფონის ხაზინიდან რამოდენიმე ასი ათასი მანეთი თავის სალაროში გადმოიტანა პარტიამ. სხვა ხაზინებისთვის პარტიას ხელი არ უხლია. ამის მიზეზი იყო უთუოდ ერთგვარი ორჭოფობა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ არავინ იცოდა რევოლიუცია გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა. ხაზინის დანაკლისსაც კი ხალხის ზურგზედ აიღებდენ. სწორეთ ამიტომ იჭერდა თავს პარტია ასეთი მოქმედებისაგან. იმ დროს ქუთაისში მდგომი ქვეითი ჯარის ნაწილების უმრავლესობა რევოლიუციონურათ იყო განწყობილი. როგორც ორგანიზაციას, ისე მცხოვრებლებსაც კარგი შეხედულება ჰქონდათ ქვეით ჯარზედ. რაც შეეხება ყაზახებს, ესენი ეჯავრებოდა არამც თუ მცხოვრებლებს, არამედ ჯარის კაცებიც კი არ უყურებდენ კარგი თვალით. მართლაც, ასეთი შეხედულება ყაზახებმა დიდი ხნით ადრე დაიმსახურეს ხალხის თვალში. ისინი ხშირად 1905 წლამდისაც ღამ-ღამობით გამოდიოდენ ქალაქში და სძარცვავდენ მცხოვრებლებს. 1905 წელში ხომ უფრო გაძლიერეს ძარცვა ოფიცერ ლარიონოვის მეთაურობით...

რკინისგზის გაფიცვა გრძელდება. დადის მხოლოთ განსაკუთრებული დანიშნულების მატარებელი. ქალაქში აღარ იშოვება ნავთი, ასანთი, შაქარი და თითქმის სოფლებსაც ნაკლებად შემოაქვთ სანოვაგე. ყაზახებმა ღამ-ღამობით მოუხშირეს ქალაქ გარეთ მცხოვრებ-



ყაზახებმა გაიარეს.

ლების ძარცვას. საჭირო შეიქნა ქალაქის განაპირა ადგილებში გუშაგების დაყენება. რაზმელებისაგან მოდის ცნობები პარტიულ კლუბს, რომ ლარიონოვი თავის ესკადრონებით ღამ-ღამობით გამოდის ქალაქ გარედ დემონსტრაციულად და ისევ უკან ბრუნდება.

ღამის პირველი საათი იქნებოდა. საერთო ბინაზედ უეცრათ მოვიდა თ. ასათიანი, რომელმაც გადმოგვცა, რომ წყალ წითელის გზით გავიდა ყაზახთა ასეულები. ჩვენ ექვსი ამხანაგი სწრაფად გავჩნდით სამხედრო შტაბთან, სადაც ხშირად კ. ქარციძე მუშაობდა, ჩვენს მისვლამდის მასაც გაეგო ყაზახების გასვლა. ჩვენს გარდა შტაბში ბლომად იყო რაზმელები. ამას გარდა თვით საფირჩხიის რაზმი იოსებ პატარიძის მეთაურობით უკვე გამაგრებულიყო გზების ახლო-მახლო რიყეებთან, რომ უკან დაბრუნებულ ყაზახებს გამასპინძლებოდა. მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო შტაბის ნებართვა. შეტაკებაზედ შტაბმა უარი გვითხრა და რაზმებიც დაიშალა. დილით, გათენებისას შტაბში ამბავი მოვიდა, რომ წყალ წითელის ხიდთან წითელი რაზმელები არიან დახოცილები და დაჭრილიო. იმ წუთში ჩავსვით მოწყალების დაეტლში და გავსწიეთ დანიშნულ ადგილზედ. სანამ წყალ წითელის ხიდთან მივიდოდით, გზაში ვნახეთ დაჭრილი წ. რაზმელი გვარათ ნემსაძე, რომელსაც თავი შუაზედ ქონდა გაპობილი და ტვინის აპკი თავისუფლათ მოსჩანდა ჭრილობიდგან. საწყალი ძლივ იღებდა ხმას. საჩქაროდ შეუხვიეთ ჭრილობა, ჩავსვით ეტლში და გავგზავნეთ საავადმყოფოში. ჩვენ ვერ შევნიშნეთ, მეორე ჭრილობაც მუცელში ქონდა ხანჯლით. ჭრილობა მეორე მხარეზე გადიოდა. თურმე როდესაც დასჭრეს და წააქციეს, შემდეგ გადმოხტა ორი ყაზახი ცხენიდან, ერთმა ხანჯალი დააჭირა მუცელზედ, მეორემ კი ხანჯლის ტარს ხელით დაკრა და ხანჯლის წვერი გავიდა მეორე მხარეს. ნემსაძე იმავე დღეს გარდაიცვალა.

მივედით ხიდთან. ვნახეთ უსაზარლესი სურათი ჩ ჩეხილ წითელ რაზმელების, რომლებიც აქა იქ ეყარენ. ყველა თავები დალეწილი ქონდათ ხმლებით და ნაფლეთებად იყო ქცეული. ასეთი სურათის დანახვაზედ ბევრს გული წაუვიდა.

(დასასრული იქნება).

ხ. ლომიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველ ქართულ დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია.
## პირველი დღე.

19 იანვარს საღამოს 6 საათზე ქ. ქუთაისში გარნიზონის კლუბში გაიხსნა პირველ ქართულ დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია. კლუბის შენობა საკმაოდ არის მორთული. სულ კონფერენციაზე 37 დელეგატია გადამწყვეტი ხმით და 8 კი სათათბირო. დელეგატების გარდა ესწრებიან წარმომადგენლები ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებიდან და პარტ აქტივი ქუთაისის გარნიზონისა.

### ამხ. კვირიკაძის სიტყვა.

კონფერენციას ხსნის დივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. კვირიკაძე, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნავს, რომ დივიზიის უკანასკნელ მე-IV პარტკონფერენციის შემდეგ გავიდა სრული ერთი წელი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ წესდების მიხედვით გვინდოდა ჩაგვეტარებია კიდევ ერთი პარტკონფერენცია, დაახლოვებით ივლისში, მხოლოდ პირობებმა ხელი არ შეგვიწყვეს.

ქართული წითელი არმია ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა, მხოლოდ ეს ზრდა უნდა განვაგრძოდ შემდეგშიც, რომ გავამართლოდ პარტიის და საქართველოს მშრომელთა იმედები. ჩვენ პარტიას დიდი ღვაწლი აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საქმეში. ამ ენერგიის დახარჯვაში ჩვენც შეგვაქვს ერთგვარი წვლილი. ამ გზით მივდივართ 5 წლის განმავლობაში და ამ გზით წავალთ წინ შემდეგშიც.

ამ ჟამად ჩვენი წითელი არმია დიდ მწუხარებაშია მისი საუკეთესო ხელმძღვანელის ამხ. ფრუნზეს დაკარგვით, რომელიც წითელ არმიის ბედს განაგებდა გადამწყვეტ ბრძოლებში. ჩვენ დავკარგეთ აგრეთვე ამხ. მიასნიკოვი, ამხ. მარხლევსკი და სხვანი. საერთაშორისო მაშტაბში ჩვენ არა ერთი და ორი მსოფლიო რევოლიუციის მებრძოლი დავკარგეთ. მათი ხსოვნა ჩვენთვის ძვირფასია. ყველაზე მძიმეა ჩვენთვის დაკარგვა ძვირფას ლენინის, რომელიც აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ გვაქვს მისი ანდერძი, რომლის შესრულებით ჩვენ საუკეთესოდ დავაფასებთ მის საქმიანობას. დიდი ლენინის ანდერძი უნდა ტარდებოდეს მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებამდე, მთელ მსოფლიოში კომუნისტური წესწყობილების განმტკიცებამდე. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ მათ ხსოვნას."

ყველანი დგებიან. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს.

### პრეზიდიუმის არჩევნები.

შემდეგ კონფერენცია გადადის პრეზიდიუმის არჩევნებზე. პრეზიდიუმის შემადგენლობაში იქნა არჩეული 10 კაცი. ამხ. ამხ. კვირიკაძე, სნეგირევი, ლომიძე, ელიაშვილი, მათითაიშვილი, წითელ არმიელი შიოლაშვილი, შავლაძე, ლეჟავა, დონაძე და მელაძე.

სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევნების შემდეგ კონფერენციამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. სტალინი, ზინოვიევი, კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ტროცკი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, რატნეკი, ელიავა, ცხაკაია, ოკუჯავა მიშა.

კონფერენციამ დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართვ. კომპარტიის ცეკას, რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს, არმიის პოლიტსამმართველოს, მეორე ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილებას და 1 კავკ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

### დღის წესრიგი

იქნა დამტკიცებული შემდეგი დღის წესრიგი:

1. კომპარტიის მე-XIV ყრილობის შედეგები, მომხსენ. ამხ. ოკუჯავა მიშა.
2. არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება, ამხ. სნეგირევი.
3. პოლიტგანყოფილების მოხსენება, მომხსენებელი ამხ. კვირიკაძე.
4. დივიზიის პარტკომისიის ანგარიში, ამხ. ლომიძე.

თანამომხსენებელი ამხ. იაგნეტინსკი სამხ. და საზღვაო ინსპექციის მუშაობის შესახებ.

5. პარტაღმშენებლობის საკითხი, ამხ. მათითაიშვილი (თანამომხსენებელი ამხ. ხომერიკი ახ. კ. კ. შესახებ).
6. სამხედრო აღმშენებლობის ამოცანები, მომხსენებელი ამხ. ქუთათელაძე.
7. სააგიტაციო—საპროპაგანდო მუშაობაზე მოხსენება ამხ. მიქაძე.
8. დივპარტკონფერენციის არჩევნები, დელეგატების არჩევნები არმიის პარტკონფერენციაზე.

რეგლამენტის დამუშავების შემდეგ სიტყვა ეძლევა მისალმებისთვის საქართვ. კომპარტიის მდივანს.

### ამხ. მიშა ოკუჯავას სიტყვა.

ორატორი აღნიშნავს, რომ „ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკები დიდ აღმშენებლობით მუშაობას აწარმოებენ. საქართველოს რესპუბლიკის მიერ განვლილი ხუთი წლის ხანა მაჩვენებელია ჩვენი გამარჯვებისა. მიუხედავათ ამისა ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ რომ მტრებით გარშემორტყმული ვართ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ წამში შესაძლებელია მტრის შეტევა ჩვენზე თუ ამისათვის მან იშოვა დრო. ამას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი ძალა, ძალა პროლეტარულ ხელისუფლებისა, რისთვისაც მშვიდობიან აღმშენებლობასთან ერთად ჩვენ უნდა ავამაღლოთ აგრეთვე ჩვენი სამხედრო ძლიერებაც, მუდამ მზათ უნდა გვქონდეს იარაღი. ეს იარაღი იმდენად იქნება მკრელი, რამდენად ჩვენი მუშურ-გლეხური ჯარი იქნება შეგნებული, რამდენად მაღლად იქნება მისი პოლიტიკური დონე. პარტკონფერენცია სწორედ ერთი ასეთი იარაღთაგანია. ეს მკრელი იარაღი პარტკონფერენციის მიერ უნდა იქნეს მიმართული მტრების წინააღმდეგ".

შემდეგ მისასალმებელ სიტყვით გამოდის არმიის პოლიტსამართველოს სახელით

### ამხ. სნეგირევი.

ამხანაგებო, ამ წელში ჩვენი, როგორც საარმიო, ისე სადივიზიო პარტკონფერენციების დღის წესრიგი მეტად დიდია. ეს აიხსნება არა იმით, რომ მთელმა წელმა განვლო უკანასკნელად მომხდარ სადივიზიო პარტკონფერენციის შემდეგ, არამედ იმით, რომ ჩვენ დიდი მუშაობა გვიძევს წინ, რომ ჩვენ გავიარეთ ჩვენი წითელი არმიის აღმშენებლობაში მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი ეტაპი. აქ კი, ამიერკავკასიაში ასეთივე რთული მუშაობა შევასრულეთ ჩვენ წითელი არმიის ნაციონალური ნაწილების აღმშენებლობის საქმეში.

ამ ჟამად ჩვენს პარტიას უხდება მეტად რთულ პირობებში მუშაობა და ჩვენ გვიხდება ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია უფრო კარგად დავაყენოთ ჩვენი მუშაობა ამ გართულებულ პირობებში.

პარტიის XIV ყრილობამ აღნიშნა თუ როგორ საფრთხეს გვიმზადებენ ჩვენი მტრები, როდესაც ხედავენ ჩვენს აღმშენებლობას. ჩვენი კავშირის ეკონომიური მდგომარეობა აიძულებს ბურჟუაზიულ ბანაკს ემზადოს ჩვენს წინააღმდეგ საომრად.

ამიტომ კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წითელ-არმიის აღმშენებლობის საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობს მუშათა და გლეხთა მასებში აქტიობის გამოღვიძებას. აქტივის გადიდება ამსუბუქებს ჩვენს მუშაობას, მაგრამ მეორე მხრივ ეს ზრდა ადიდებს ჩვენზე წამოყენებულ მოთხოვნილებებს. ამის გამო ჩვენ უნდა გავაღრმაოთ ჩვენი პარტიის მუშაობა. მუშურ-გლეხური მასის უმრავლესობა იქცევა აქტივად.

კონფერენციამ კარგად უნდა გაარჩიოს და გაერკვიოს არმიის პოლიტ-სამმართველოს მუშაობაში.

წითელ არმიელების აქტიურობის ზრდა გვაიძულებს ჩვენ ახალ პირობებში უფრო გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაციონალურ დივიზიებში მუშაობას, სადაც რამოდენიმედ სხვანაირ პირობებში გვიხდება მუშაობა. გარდა სამოქალაქო ომების გამოცდების უქონლობისა მათ მუშაობა უხდებათ აგრეთვე როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური სწავლებისათვის სახელმძღვანელოების უქონლობის პირობებში.

ეს გარემოებანი კიდევ უფრო აძნელებენ ჩვენს მუშაობას და როდესაც ჩვენ უახლოვდებით ქართული ნაწილების აღმშენებლობის ხუთი წლის თავს, ჩვენ პარტკონფერენციაზე უნდა ავღნიშნოთ ჩვენი შემდეგი მუშაობის გზები. ეს პირობები შეიძლება აცილებული იქნეს, რადგან ჩვენი პარტორგანიზაცია კარგად მუშაობს. ჩვენ ამ ჟამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასეთი უძნელესი პირობების დროს უდიდეს შედეგებს მივაღწიეთ.

გესალმებით რა კ.წ.დ.არ.პოლიტსამმართველოს სახელით, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ასეთივე წარმატებით ვიმუშავებთ მომავალშიც, რომ უფრო მტკიცეთ და კარგად წავიყვანოთ ნაციონალური დივიზიების აღმშენებლობის საქმე.

(მხურვალე ტაში).

ქუთაისის სამაზრო კომიტეტის სახელით კონფერენციას წითელ არმიაში მოსული მიესალმა:

### ამხ. ლეჟავა,

რომელმაც ხაზი გაუსვა წითელი არმიის როლს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებაში. ამზადებს რა წითელი არმია თავის რიგებში წითელ მებრძოლს, ამავე დროს ის აძლევს ახალ ძალას ჩვენ აღმშენებლობას სოფელში. ამ დიად საქმეში ყველაზე მეტი პასუხისმგებელია წითელ არმიის ნაწილების პარტიული ორგანიზაციები. ამ საკითხების ღირსეულ გადაჭრისაკენ უნდა იქნეს მიმართული პარტკონფერენციის მუშაობა."

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# სამხედრო საქმე.
## მეთაური შენი უფროსი ამხანაგია.
### უმცროს მეთაურის როლი წითელ არმიაში.

მსოფლიო და სამოქალაქო ომების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ბრძოლებს აწარმოებენ თვით პატარა უჯრედები—ათეულები. თავის მუშაობაში ამ უჯრედებს (ათეულებს) დიდი დამოუკიდებლობა აქვთ. ეს უკვე გვიმტკიცებს, რომ ის, ვინც ამ უჯრედების მუშაობას ხელმძღვანელობს, კარგი მომზადებული უნდა იყოს.

მეორე მხრივ ჩვენი არმია სკოლაა, სადაც მშრომელნი სწავლობენ ჩვენი კავშირის მტრისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებებს. წითელარმიელთა სწავლების სიმძიმე მეტ ნაწილად თავს აწევს უმცროს მეთაურებს—ამ პირველ საფეხურის უფროსებს.

ამრიგად უმცროსი მეთაური მშვიდობიან დროს წარმოადგენს ინსტრუქტორ—მასწავლებელს, ხოლო ომის დროს—ბრძოლის ხელმძღვანელს. თავისთავად გასაგებია, რომ ამ ამოცანების ასასრულებლად საჭიროა, რათა უმცროსი მეთაური პირველ ყოვლისა თვითონ იყოს სამაგალითოდ მომზადებული.

ლეგიონის სკოლებში, რომლებიც ამზადებენ უმცროს მეთაურებს, იგზავნებიან შედარებით განვითარებული და პოლიტიკურად შეგნებული წითელარმიელები. ჯარის სკოლებში კურსანტები იძენენ არა მარტო უმცროს მეთაურთათვის საჭირო ცოდნას, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროისთვის, არამედ იძენენ აგრეთვე გამოცდილებას დამოუკიდებლად აწარმოონ წითელარმიელთა სწავლება და აღზრდა ათეულის ფარგლებში. ეს ამოცანა დიდი და საპასუხისმგებლოა; ის მოითხოვს თვითეული კურსანტისაგან საფუძვლიანად და სრულად გაიარონ აღნიშნული პროგრამა, რათა გახდენ არა მარტო მცოდნე მეთაური, არამედ კარგი ინსტრუქტორიც, რომელსაც შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნა გადასცეს თავის ხელქვეითთ.

ასეთი მეთაური ომის დროს ბრძოლის საუკეთესო ხელმძღვანელი იქნება. უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი ცოდნა აქვს და ვისაც უკეთ შეუძლია გამოიყენოს თავის ცოდნა საბრძოლო საქმეში.

ამრიგად სკოლაში სწავლის დროს კურსანტს უნდა ახსოვდეს, რომ მის პირად მომზადებაზე დამოკიდებულია მისი ნაწილის საბრძოლო მომზადება. მაშასადამე, სკოლაში მეცადინეობის დროს ის პასუხისმგებელია არა მარტო პირადად თავის მომზადებაში, არამედ, რაც თავიდათავია, იმ მომავალ ხელქვეითების მომზადებაშიც, რომლებსაც მან შემდეგში უნდა ასწავლოს.

პ.

# როგორ იყენებენ ქიმიას ბრძოლაში.
### ცეცხლ-მტყორცნი.

ბრძოლის ქიმიურ საშუალებას ეკუთვნის ცეცხლტყორცნა. ერთგვარი აპარატის საშუალებით მტრის მხარეზე გასტყორცნიან ანთებულ სითხის ნაკადს. ეს სითხე შესდგება ბენზინისა და ნავთის ნარევისაგან. ამ ანთებულ სითხის ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ ის ანადგურებს ყველაფერს თავის გზაზე: ადამიანს ჰკლავს, ხეს სწვავს, ბალახს სპობს და სხვა. ასე გამანადგურებლად ეს ცეცხლის ნაკადი მოქმედებს იმ მიმართულებით, საითაც ის გაშვებულია. დანარჩენ ადამიანებს ის დიდ შიშს გვრის. ცეცხლმტყორცნის მოულოდნელ ხმარების დროს მოპირდაპირის რიგებში არევ-დარევა იქნება და მტერი ხშირად თავზარდაცემული გარბის.

ეს სითხე იმყოფება ერთგვარ ჭურჭელში, ქვაბში ან მილში. შეკუმშული ჰაერის საშუალებით ის გაიშვება ერთგვარ მანძილზე; სითხის ნაკადი გადის ერთგვარ ამნთებში, რომელიც ცეცხლს უჩენს სითხეს, სანამ ის გაიტყორცნებოდეს (გაიშვებოდეს).

არსებობს ცეცხლმტყორცნელთა რამოდენიმე სახე: ჩანთა-ცეცხლმტყორცნი, თხრილის და საფუგასო.

ჩანთა-ცეცხლმტყორცნი ეწოდება იმიტომ, რომ მას ატარებენ ზურგზე, როგორც ჩანთას. მათი ცეცხლის ნაკადი მიდის ათ საჟენზე.

თხრილის—ეწყობა სანგრებში. ესაა რამოდენიმე ლითონის ჭურჭელი, რომლებიც შეერთებულია ერთმანეთთან მოკლე მილებით. მათი ცეცხლის ნაკადი მიდის 35 საჟენზე და მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მტრის იერიშების მოგერიებში.

საფუგასო ცეცხლმტყორცნს ჰფლავენ მიწაში სანგრის წინ. ის შესდგება სითხით გავსებულ ლითონის მილისაგან. ცეცხლის ნაკადს უშვებს 20 საჟენზე. საფუგასო ცეცხლმტყორცნი იხმარება მოგერიების დროს. მტრის შემოტევის დროს მას შეუძლია მოულოდნელად დასცეს თავზარი სანგრის პირთან მოსულ მტერს და გაუჩინოს ხანძარი.

ამრიგად შეტევის დროს შეიძლება იხმარო მხოლოდ ჩანთა-ცეცხლმტყორცნი, დანარჩენი—კი სანგრებიდან ბრძოლის დროს. ჩვეულებრივად ჩანთა-ცეცხლმტყორცნი ეძლევა იმ უბნებში, სადაც განზრახულია მთავარი დაკვრა.

პ.

# ჩვენს წითელ ჯარში

## როგორ ვმუშაობთ ლენინის კუთხეში.

ქართ. მეთაურთა სკოლა.

სკოლის მესამე ასეულის ლენინის კუთხე ძლიერ გამოცოცხლდა ამ უკანასკნელ ხანებში მაინც. კურსანტები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ, როგორც მისი მოწყობის, ისე შესაფერი პოლიტიკური ცოდნის მისაღებად.

თავისუფალ საათებში ამხანაგები თავს იყრიან კუთხეში და კითხულობენ წიგნებს და ჟურნალ—გაზეთებს. თვისი შემოსვლის გეგმით ლენკუთხე დიდ სამსახურს უწევს კურსანტებს კულტურულად განვითარებისათვის და ამზადებს მასიურ მუშაობაში მონაწილე ცოდნის საქმეებით გამოიტანს.

უოველ კვირაში ტარდება ის მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები. ასეთი შეკითხვა — კითხვა—პასუხით ჩატარებული იქნა 18 იანვარს, რამაც დიდი ხალისი და ინტერესი გამოიწვია ამხანაგებში. შეკითხვები იყო საერთაშორისო მდგომარეობაზე, და სხვა. პასუხის სიმართლეს ამოწმებდა და ამტკიცებდა ამისთვის საგანგებოთ არჩეული კომისია და თუ ვინმე უკმაყოფილო დარჩებოდა ამ საკითხის გარჩევით იმართებოდა კამათი.

საკითხის ცუდათ განმარტებისათვის ამხანაგები სხვადასხვა მეგობრულ შერით.

შეჯიბრება გასტანა ორი საათი.

ამოკითხვის ნიშნის შემდეგ ამხანაგები მხიარულად გაეშურენ სხვა მოვალეობის შესასრულებლად. ასე ცხოვრობს და ვითარდება ჩვენი ლენინის კუთხეში.

სამხკორი რ. ქორიძე.

# მეთაური გულმოდგინეთ გვამეცადინებს.

მე-4 ლეგიონის საკომენდანტო ოცეული.

ჩვენს ოცეულში ყოველ საღამოობით ტარდება საუბრები სხვა და სხვა საჭირბოროტო და საინტერესო საკითხებზე. საუბრებს ატარებს ამხ. კომენდანტი. საუბარი უმთავრესად ატარებს კითხვა-პასუხის ხასიათს. ყველა წითელარმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მასში.

ოცეულში ამასთანავე ერთად მტკიცე ამხანაგური დისციპლინაა.

ხშირად გვირიგდება წიგნები და ვკითხულობთ დიდის ინტერესით. ხშირად კითხვა სწარმოებს ჯგუფურად ახლადმოსულ წითელარმიელებთან ერთად. გაუგებარ და გაურკვეველ აზრებს სათანადო განმარტებას აძლევენ ძველი წითელარმიელები. პოლიტსაათებს ყველა ესწრებიან. ტყვილა უბრალოდ დროს არ კარგავენ. ამაზე ყოველთვის სათანადო გაფრთხილებას გვაძლევს ოცეულის თავი.

ოცეულის არმიელები მადლობას უძღვნით ჩვენს მეთაურს ასეთი მზრუნველობისათვის და იმედი გვაქვს არც შემდეგში მოგვაკლებს თავის ყურადღებას.

სამხკორი ა, მ—ლი.

# ჯანმრთელობის დაცვის საქმე კარგად არის დაყენებული.

1-ლი ლეგიონი.

ლეგიონში დამაკმაყოფილებელია სანიტარული საქმიანობა. ექიმები ამ მხრივ თავის სიმაღლეზე სდგანან. ყოველგვარ ავადმყოფობას წინდაწინვე ელება ბოლო.

ექიმების მორიგეობა სისტემატიურად და წესიერად სწარმოებს. ღამე ავად გახდომის შემთხვევებში წითელ არმიელებს სწრაფად ექცევათ ყურადღება.

ექიმები სისტემატიურად ატარებენ აგრეთვე სანიტარულ საათებს, რასაც განსაკუთრებული საათები აქვს დათმობილი წითელ-არმიელები დაინტერესებული არიან ასეთი საუბრებით და ყოველთვის მრავლად ესწრებიან.

განსაკუთრებით მადლობის ღირსია ექ. თანაშემწე ამხ. ლომთათიძე, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს ამ საქმეში.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

# ამბები სოფლებიდან

დუშეთის მაზრის ყველა სოფლებში უკვე დაიწყო საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარი მზადების კამპანიის ჩატარება.

სიღნაღის ალმასკომმა მისწერა ყველა თემალმსკომებს, რომ სოფლებში მათ არ აწარმოონ რაიმე აღნიშვნელობა სამ. ალმასკომის ნება დაურთველათ.

სოფ. მუხრანში დუშეთის ალმასკომმა დანიშნა მუდმივი საქონლის ფერშალი.

საარჩევნო კომისიები. ზუგდიდის ალმასკომმა დაამტკიცა ყველა სათემო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარენი.

საქონლის ჭირი სამეგრელოში. ზუგდიდის სამაზრო ალმასკომმა დაარსა საქონლის ჭირთან მებრძოლი სამაზრო კომისია.

ტყეების დასაცავად. დუშეთის მაზრაში ყველა სოფლების გლეხებმა აირჩიეს გლეხებისათვის გადაცემულ ტყეების დამცველი კომისიები.

# ახალი ამბები.

— ლენინის ხსოვნისათვის. 22 იანვარს წით. არმ. კლუბში გაიხსნება მეორე დივპარტკონფერენცია, სადაც წინასწარ გაიმართება სხდომა ლენინის ხსოვნის საპატივცემოდ.

— ტრამვაის ხაზი. ტრამვაის სამმართველო ამ დღეებში დაამთავრებს ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას სასახლის ქუჩაზე.

— სკოლების რიცხვი. ტფილისის მაზრაში ამჟამად ითვლება 156 სხვა და სხვა საფეხურის სკოლა.

— ზაჰესის მუშებისათვის ყოველთვიურად ხელფასის სახით იხარჯება 67 ათასი მანეთი.

# ვინ იქნება შემდეგი?

სოფ. ბანძის ქოხ-სამკითხველოსათვის სამი თვით ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ა. ბექაიას, არობელიძეს, შალვა ილორაძეს, დარასელიას, სტრელბიცკის, ლომჯანიძეს და სამნეო ჯგუფის ზემდეგს ამხ. კეთილაშვილს (ცხენ. ლეგიონიდან).

წ. არმ. ვ. გაბუნია.

თანახმად ამხ. ჩაგელაშვილის გამოწვევისა, ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ სამი თვით 1-ლი თებერვლიდან სოფ. შუხუთის თემის ქოხსამკითხველოსათვის (ოზურგეთის მაზრა) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

იოსებ ანთელავას, რ. კაჭახიძეს, მ. ვაშაკიძეს, ნ. ჯანელიძეს, ოქრობელაშვილს, აპ,ჩაგანავას, გ. ადამიას, შ. წულუკიძეს, (საარტ. ლეგ.) ამ. ანდღულაძეს, ის. სვანიძეს, დ. ცინცაძეს, კ. ზოიძეს, სოხაძეს, ვ. კილაძეს 4-ხე ტერლეგ. ნ-თე ასეულის პოლიტხელს გ. კვირკველიას და ოცეულის მეთაურს შ. იმნაიშვილს.

გაზეთ. „წითელი არმიელის“ რედაქციიდან: რედაქტორ ჩანტლაძეს და თანამშრომელ სირაძეს.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

# უცხოეთის არმიებში

## მშვიდობიანობისათვის მყვირალთა—ახალი შეიარაღება.

ინგლისი წინადადებას აძლევს ერთი ლიგაში შემავალ სახელმწიფოებს, ხელი აიღონ წყალქვეშა ნავების დამზადებაზე, რადგან ეს მისთვის (ინგლისისათვის) არაა სასარგებლო. წარსული ომის დროს გერმანელების წყალქვეშა ნავები დიდ ზიანს აყენებდენ ინგლისის საზღვაო ფლოტს. ამ ჟამად ინგლისს აქვს 61 წყალქვეშა ნავი, ხოლო ამერიკას 121, საფრანგეთს—46. ამას გარდა საფრანგეთი აპირებს აგრეთვე 52 წყალქვეშა ნავის აგებას. ინგლისს განზრახული აქვს წყალქვეშა ნავების მაგივრად ააშენოს მსხვილი სამხედრო ხომალდები.

იტალიაში დაამთავრეს და უკვე გამოსცადეს ახალი უზარმაზარი გიდრო—ჰაეროპლანი (ზღვის ჰაეროპლანი) ახლო მომავალში გიდრო ჰაეროპლანი აპირებს გადაფრენას ინგლისში, აფრიკაში, ამერიკაში და შემდეგ ისევ იტალიაში. 11.200 კილომეტრი მანძილი განზრახულია დაფარულ იქნეს 65 საათის განმავლობაში.

ამერიკაში ააგეს ახალი დირიჟაბლი (საჰაერო ხომალდი), რომელსაც შეუძლია საათში 100 კილომეტრის მანძილზე მეტი გავლა და ძალუძს 3.000 კილომეტრ მანძილის დაფარვა ძირს დაუშვებლად.

რუმინიამ შეიძინა ესპანეთში 50 ახალი ჰაეროპლანი. ჰაეროპლანები უკვე ჩავიდენ რუმინეთში.

ავსტრია აწყობს საჰაერო პოლიციას მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად.

# პასუხი შეკითხვებზე.

**ობაშვილს.** რაკი დაგიმთავრებიათ გადამწერთა სკოლა, უნდა იმსახუროთ 3 წელი. ზედმეტი ჯამაგირი არ მოგეცემათ.

**ხეტურიანს.** ერთ-ერთმა ექიმის თანაშემწემ უნდა იკისროს ლეგ. სანიტ. ნაწილის კანცელარიის წარმოება.

**მასვე.** თუ რატომ მოგცეს შეკერილი ტანისამოსი და არა შეუკერავი, ამის შესახებ მიმართედ სამნეო ნაწილის უფროსს.

**ხ—ნს.** შეშის შესახებ უნდა მიმართოდ ტერსამართველოს სამნეო ნაწილს.

**მარტყოფლიშვილს.** ოჯახური მდგომარეობა თქვენ არ განთავისუფლებს სამხედრო სამსახურიდან.

**ნიკიჭაძეს.** ქმარს ორი წლის ტარების ვადა აქვს.

**მუხრანელს** თუ გადამწერთა სპეციალური კურსება არ გაგივლიათ ორი წელი უნდა იმსახუროთ.

**კვირიკაძეს.** ახალი ჯამაგირების განაკვეთი უმცროს მეთაურებზე არ ვრცელდება.

**ანდრონიკაშვილს.** მიმართედ ტერსამმართველოს საკითხის გამოსარკვევად.

**რამიშვილს.** მეთაურს არ აქვს უფლება თავის საქმეებზე აგზავნოს წითელ არმიელი.

**ხახუტაშვილს.** უნდა მიმართოდ [illegible] რაზმის უფროსს.

**უკლებას.** თქვენ გერგებათ [illegible] თუ დაწესებულება არ გაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ მიმართოდ შრომის სასამართლოს.

**ხვანიძეს.** საზოგადოებრივო კურსები არ ითვლება საშუალო სასწავლებლად. თუ საშუალო ცოდნა გაქვთ, იმ შემთხვევაში შეგიძლიათ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე და ერთი წლის შემდეგ წახვიდეთ უვადო შვებულებაში.

**ოქრუაშვილს.** მოხალისეთ შესვლა წითელ ჯარში აკრძალულია.

**გაბელიძეს.** იარაღის ტარება ნებადაურთველად აკრძალულია. ნებართვისთვის უნდა მიმართოდ შინაგან საქმეთა კომისარიატს.

**ო—რიას.** თუ ბაღის პატრონმა საიჯარო პირობა დაარღვია, შეიტანეთ საჩივარი ადგილობრივ სახალხო სასამართლოში.

**მენაბდეს.** თანახმად განათლების კომისარიატის ბრძანებისა № 123, § 3, პუნქტი „გ.“—25 წ. თქვენი და თუ თქვენს რჩენაზე იმყოფება უნდა იქნეს განთავისუფლებული სწავლის ფულისაგან.

**ჯალალოვს** მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია. მიმართედ მაზრის პროკურორს.

**ა—ძეს.** კადრის წ. ა., რომლებმაც მოიხადეს ბეგარა, მათ საერთო ერთ თვიან შეკრებაზე გამოცხადება არ ეხებათ.

**ხუხ—შვილს.** ცოლთან გაყრა შეიძლება თუ ორივე მხრივ თანხმობაა „მაჩ“-ის საშუალებით, თუ არა და სასამართლოს წესით.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ვადაჭკორიას** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „ჩავებით მუშაობაში“ არ დაიბეჭდება. ბევრს ლაპარაკობთ, მაგრამ მუშაობაზე არაფერია ნათქვამი. შემდეგისათვის საჭიროა სწეროთ თუ რა კეთდება.

**ამხ. ბედით-კრულს** კორესპონდენცია საკომენდანტოს შესახებ არ დაიბეჭდება. შეგიძლიათ მოათავსოთ ადგ. კედლის გაზეთში.

**ამხ. ჩიტაიშვილს**(პოლიტსკოლა) წერილი „ისევ დავბრუნდით“ არ გავა. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გულდაწყვეტილს** (მესამე ლეგ.) „1-ლი ლეგ. 3-მე ასეულის საღამოს შესახებ“ თქვენი კორესპონდენცია არ გამოდგა. მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

**ამხ. გ. სურგულაძეს** თქვენი წერილი „მსოფლიო ორი ბანაკი. წითელი ჯარი და მისი პრესა“ არ გამოდგა.

**ამხ. შოზიას** (2-რე ლეგ.) წერილი „2-რე ლეგ. 7-დე ასეულის“ შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ძნელაძეს** ლექსი „ლენინი ხალხის გულში მარხია“ არ დაიბეჭდება. არ გამოდგა.

**ამხ. შაქროს** (მეთ. სკოლა) თქვენი კორესპონდენციები ზოგადათ ეხება ყველა საკითხებს და გარკვევით, კონკრეტულად არაფერს ამბობთ. არ გავა.

---

1926 წ. 22 იანვარს ქ. თბილისში მოწვეულია მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პირველი

**პარტკონფერენცია.**

**დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:**

1. 14 პარტყრილობის შედეგები,
2. არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება,
3. დივიზიის პოლიტგანის მოხსენება,
4. დივიზიის პარტკომისიის მოხსენება,
5. პარტიულ აღმშენებლობის საკითხები,
6. თანამოხსენება კომკავშირის მუშაობის შესახებ,
7. სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა,
8. სამხედრო აღმშენებლობა,
9. არჩევნები.

პარტკონფერენცია გაიხსნება დივიზიის ცენტრალური კლუბის შენობაში.

მეორე ქართულ მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილება.

---

**დაკარგე** პირველი ლეგიონიდან გაცემული პირადობის მოწმობა № 2408 პროკოფი ხელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** პირადობის მოწმობა მეექვსე ქართ. ლეგიონიდან გაცემული გიორგი ქვლივიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** კოოპერატივ „მოეც კ. კ. ა.-ს“ გამგეობიდან გაცემული საწევრო წიგნაკი გ. ი. საათაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე